

# ბიზნესის განწყობის ინდექსი

## 7.3

გაიზარდა


ოპტიმიზმის ნიშნები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორებში

# I კვ 2020

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი

მცირე და საშუალო




36



125

## კვლევის ძირითადი შედეგები



● ბიზნესის განწყობის ინდექსი 
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი 
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი 
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2020 წლის პირველ კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 7.3 პუნქტით გაიზარდა და 25.8-ს გაუტოლდა. ყველაზე მაღალი ზრდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორებში დაფიქსირდა. აღნიშნულ ინდუსტრიებში ბიზნესის განწყობის გაუმჯობესება განაპირობა როგორც მიმდინარე საქმიანობის შედეგებით პოზიტიურმა შეფასებამ, ისე გაუმჯობესებულმა მოლოდინებმა. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სექტორი არის ერთადერთი, სადაც ბიზნესის განწყობის ინდექსი შემცირებულა.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2020 წლის პირველ კვარტალში 2.4 პუნქტით გაიზარდა, რაც დიდწილად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორების დამსახურებაა.
- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 31.3-დან 42.7 პუნქტამდე გაიზარდა. ბიზნესის ოპტიმიზმი ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის სექტორში გაიზარდა, შემცირება კი მხოლოდ მომსახურების სექტორში დაფიქსირდა.
- 2019 წლის მე-3 და მე-4 კვარტლებში დაფიქსირებული ვარდნის შემდეგ, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი, რომელმაც ბოლო სამი წლის მაქსიმუმს (18.6) მიაღწია.
- თუ ინდექსებს საწარმოთა ზომის მიხედვით ჩავშლით, შევნიშნავთ, რომ ბიზნეს განწყობის, მიმდინარე მდგომარეობისა და ბიზნესის მოლოდინების ინდექსები გაუმჯობესდა როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. რაც შეეხება გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსს, ის გაიზარდა დიდი კომპანიებისთვის, ხოლო შემცირდა მცირე და საშუალო კომპანიებისთვის.
- ბიზნეს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორებად როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის ფირმები, კვლავ მოთხოვნის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირეს ასახელებენ.

(\*): ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვიჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

# ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



კვ I/20  
**12.4**

ცვლილება  
**9.2**



კვ I/20  
**29.4**

ცვლილება  
**7.7**



სექტორი	კვ I/20	ცვლილება	კვლილება
მრეწველობა	<b>25.5</b>	▲	<b>25.5</b>
მშენებლობა	<b>15.9</b>	▲	<b>12.5</b>
ვაჭრობა	<b>39.0</b>	▲	<b>15.2</b>
მომსახურება	<b>22.6</b>	▼	<b>-5.1</b>
სოფლის მეურნეობა	<b>50.1</b>	▲	<b>27.6</b>
საფინანსო სექტორი	<b>6.4</b>	▲	<b>8.7</b>
სხვა	<b>33.2</b>	■	

მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია მცირე და საშუალო ზომის ფირმებისთვის. დიდი ზომის კომპანიები დამატებით გამოწვევად სამუშაო ძალის სიმცირესაც ასახელებენ.

## ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები I კვარტალი, 2020 წელი

